IP მანიფესტი

The Association
of Creative
Industries

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განახლება და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერი ასოციაციები, ორგანიზაციები და ცალკეული პირები ვთვლით, რომ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მასშტაბური და პრინციპული განახლების დრო დადგა.

კრეატიული ინდუსტრიების მაქსიმალური განვითარების, საუკეთესო ნიჭის მქონე თანამშრომლების მოზიდვისა და მსოფლიო ბაზარზე მოწინავე ქვეყნის სტატუსით პოზიციონირების მიზნით, ვერთიანდებით ასოციაციები, ორგანიზაციები და ცალკეული პირები.

ვთვლით, რომ პოლიტიკოსებმა, ბანკებმა, ინვესტორებმა, უნივერსიტეტებმა, კვლევითმა ცენტრებმა, ტექნოლოგიურმა კომპანიებმა, ავტორებმა და შემოქმედმა ადამიანებმა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გაძლიერების მიზნით უნდა გადადგან ერთობლივი ნაბიჯები. კერძოდ, კი ინტელექტუალური საკუთრება აღიარებული უნდა იქნას, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების რეალური ეკონომიკური აქტივი და იგი უნდა გახდეს მდიდარი და თვითმყოფადი ქართული კულტურისა და მემკვიდრეობის ექსპორტისა და განვითარების საგანი მსოფლიოს მასშტაბით.

ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვაზე საუბარი შეუძლებელი გახდება, თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მართვა და დაცვა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით არ განხორციელდება, ვინაიდან ეს ტექნოლოგიები სანდო, პროგნოზირებად და გასაგებ სამართლებრივ ნორმებს გულისხმობს.

საპატენტო უფლებები, კომერციული საიდუმლოება, საავტორო უფლებები, სასაქონლო ნიშნები და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები, რომლებიც ხელს უწყობენ ბრენდის დაცვას, ერთადერთი საშუალებაა შემოქმედებით და ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტიციის განსახორციელებელი სანდო გარემოსა და მყარი საფუძვლის შესაქმნელად.

ისტორიულად საქართველო კულტურათა გზაჯვარედინს წარმოადგენდა. ქვეყნის მხატვრული და ინტელექტუალური მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია: უნიკალური დამწერლობიდან და ანბანიდან, გასაოცარ მუსიკალურ მრავალხმიანობამდე, აგრეთვე, ქვევრის უძველესი ტექნოლოგიიდან, თანამედროვე მკვლევრების, ინჟინრებისა და ნოვატორების მიღწევებამდე.

შემოქმედება საქართველოში თვითმყოფადია. ქვეყანაში ბევრი შემოქმედი ადამიანი და ღირსეული მეწარმეა, რომლებსაც ერთობლივი ძალისხმევით შეუძლიათ შექმნან ინტელექტუალური საკუთრება, იგივე ახალი აქტივი საქართველოს ახალი ეკონომიკისთვის. ამ შემთხვევაში ქართული კულტურა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ევროკავშირში ინტეგრაციის, მსოფლიოში ექსპორტისა და პოპულარიზაციის წყაროდ იქცევა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ არაერთხელ განიცადა ტრანსფორმაცია, უძველესი სამეფოებიდან საბჭოთა მმართველობის პერიოდამდე, და ბოლოს, თანამედროვე დამოუკიდებლობამდე, სულ უფრო ცხადი ხდება მისი ინტელექტუალური და კულტურული ღირებულებების დაცვის მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონვენციებზე დაფუძნებული სამართლის სისტემის შექმნის პროცესი, მარტივი არ ყოფილა და მას 10 წელზე მეტი დასჭირდა.

ამასთან, უფრო რთული აღმოჩნდა ამ სისტემის პრაქტიკაში გამოყენება.

დღესდღეობით, ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების სისტემა მოიცავს 8 კანონს:

- კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ – ეს კანონი მიზნად ისახავს ავტორებისა და შემსრულებლების, ფონოგრამების და ვიდეოგრამების დამმზადებელებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებების დაცვას;
- საპატენტო კანონი – ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელების შექმნასთან, გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;
- კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ – ეს კანონი არეგულირებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე, მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;
- კანონი დიზაინის შესახებ - ეს კანონის აწესრიგებს დიზაინის შექმნასთან, რეგისტრაციასთან, გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;
- კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეორგაფიული აღნიშვნის შესახებ - ეს კანონი აწესრიგებს ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეორგაფიული აღნიშვნების რეგისტრაციასთან, გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;
- კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ – ეს კანონი მიზნად ისახავს დაიცვას ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიები, რომლებიც ორიგინალურია იმ გაგებით, რომ ისინი მათი შემქმნელის ინტელექტუალური ძალისხმევის შედეგია;
- კანონი ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ - ეს კანონი მიზნად ისახავს მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიშების მოშენების სტიმულირებას, ასევე უცხოური ჯიშების საქართველოში დანერგვასა და გამოყენებას;

- კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ - ეს კანონი ეფუძნება TRIPS-ის შეთანხმების დებულებებს სპეციალური სასაზღვრო ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნული კანონი არეგულირებს საქონლის საქართველოში იმპორტირებისას ან საქართველოდან ექსპორტირებისას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით სპეციალური სასაზღვრო ღონისძიებების გამოყენების წესს.

ზემოაღნიშნული კანონების გარდა, ინტელექტუალური საკუთრების სისტემა, თავის თავში მოიცავს საპატენტო უწყებას - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - საქპატენტს. საქპატენტი, რომელიც გამოგონების ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებასა და პატენტის გაცემაზეა უფლებამოსილი, 2023 წლიდან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირებასაც ახორციელებს. ინტელექტუალური საკუთრების სისტემაშიასევე შედის სასამართლო სისტემაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უფლებათა სათანადო დაცვა.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შემქმნელებს მნიშვნელოვანი მიზნები ჰქონდათ დასახული, კერძოდ:

- ქართული კრეატიული და ტექნოლოგიური კომპანიების ხელშეწყობა, რომელთა აქტივების შემადგენლობაში შევიდოდა ინტელექტუალური საკუთრება, რაც მიმზიდველი გახდებოდა ინვესტორებისთვის;
- საერთაშორისო კომპანიების, ბრენდების მოზიდვა, რომლებიც საქართველოში თავს კომფორტულად იგრძნობდნენ და რომელთა აქტივებიც საიმედოდ იქნებოდა დაცული;
- ინტეგრირება ევროპულ და გლობალურ ეკონომიკაში, ხოლო დამატებითი ღირებულების ჯაჭვში სამართლიანი მონაწილეობა.

რეალობა განსხვავებული აღმოჩნდა. საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემა სამწუხაროდ ამ მიზნებს ვერ აღწევს.

სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ინტელექტუალური საკუთრების სისტემა, მუშაობს მხოლოდ მცირე ქართული ბაზრის ათვისებაზე, რომელშიც უცხოური კომპანიები დომინირებენ:

- სამრეწველო ინტელექტუალური საკუთრების რეგიონულ რეიტინგებში ქვეყანა მრავალი წლის განმავლობაში სტაბილურად დაბალ პოზიციებს იკავებდა: აზიაში 25-30 და ევროპაში 39-41.
- ქვეყანაში პატენტების დაახლოებით 65% გაიცემა არარეზიდენტ პირებზე.

- კიდევ უფრო დამაფიქრებელია სტატისტიკური მონაცემები სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით, სადაც არარეზიდენტების წილი 73%-ს აღემატება, ხოლო დიზაინის სფეროში, განაცხადების 80%-ს ასევე არარეზიდენტები წარადგენენ.
- საქართველოს მონაწილეობა კულტურული, კრეატიული და ინოვაციური პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე ძალიან უმნიშვნელოა.

საქართველოს ტერიტორიაზე ინტელექტუალური საკუთრების შექმნისთვის განკუთვნილი ინვესტიციების შესახებ მონაცემები, სამწუხაროდ, არ მოიპოვება. სახელმწიფო არ იჩენს ინიციატივას ამ მაჩვენებლის შეფასებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, საქართველო ინტელექტუალური საკუთრებიდან, კულტურიდან, ქვეყნის ისტორიული პოტენციალიდან და გეოგრაფიული აღნიშვნებიდან შემოსავალს არ იღებს. ნუთუ უდიდესი არამატერიალური კაპიტალის მქონე ქვეყანას, შეუძლია ევროპასა და მსოფლიოს მისცეს, მხოლოდ ფეროშენადნობები და მანგანუმი, ჯართი და მადანი, ღვინო, მინერალური წყალი, ხილი და თხილი?

ინტელექტუალური საკუთრების სისტემა არ უზრუნველყოფს ცოდნისა და ტექნოლოგიის ნაკადის შემოსვლას: უკიდურესად დაბალია ქართული კომპანიების რიცხვი, რომლებიც შემოსავალს ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებიდან იღებენ. აღნიშნული მაჩვენებელი ბოლო ათწლეულის მანძილზე არ გაზრდილა, რაც დიდ უსამართლობას წარმოადგენს და ხელს შეუშლის ქვეყნის ევროპულ და მსოფლიო ეკონომიკაში სრულფასოვან მონაწილეობას.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის მთლიანი ბრუნვა 2019 წლის მონაცემებით 1.8 მლრდ ლარს აღემატება. ინდუსტრიის ჯამური ბრუნვის საშუალო ყოველწლიური ზრდის მაჩვენებელი კი 8%-ია (2015-19 წწ.). შემოქმედებითი ინდუსტრიების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილი მთლიან ბიზნეს სექტორში 3.8%-ს შეადგენს და 876 მილიონ ლარს აჭარბებს (2019წ.).

ინდუსტრიის შექმნილი დამატებული ღირებულება წლიურად საშუალოდ 9%-ით იზრდება (2015-19 წწ.). საქართველოში დასაქმებული 11 ადამიანიდან 1-ს შემოქმედებითი ეკონომიკა ასაქმებს. ჯამურად, შემოქმედებით ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობა 150,687 ადამიანს შეადგენს, რაც საერთო მაჩვენებლის 8,9%-ია. თუ გადავხედავთ Apple Music-სა და Spotify-ს სტატისტიკას, მარტივად დავინახავთ, რომ ქვეყანაში ყველაზე პოპულარული უცხოური მუსიკაა. ქართული თანამედროვე კულტურის, კერძოდ კი მუსიკის მეტად პოპულარიზაციისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ და სხვა ციფრული პლატფორმების გამოყენებას, რათა შენარჩუნებული და გლობალურად გავრცელებული იქნას ქართული შემოქმედების საუკეთესო ნამუშევრები. ასევე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი და ლეგალური ციფრული

პლატფორმების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართულ შემოქმედებით ინდუსტრიებში კაპიტალის აკუმულირებასა და დაბანდებას.

ქართველი ავტორები და შემოქმედი ადამიანები არ არიან დაცულები. საქართველო აქტიურად იყენებს ციფრულ კონტენტს - მუსიკასა და კინოსურათებს; მაშინ როდესაც, 2016 წელს, 15 წლის ასაკს ზემოთ მოსახლეობის წილი, რომელიც მობილურ და კომპიუტერულ მოწყობილობებს იყენებდა, შეადგენდა 60%-ს, დღესდღეობით, ეს მაჩვენებელი 90%-ს აღემატება. ინტერნეტით მოსარგებლე ოჯახების წილმა 90%-ს მიაღწია. თუმცა, ამავდროულად, მუსიკოსების საავტორო ჰონორარის საშუალო ოდენობა 10 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად არ შეცვლილა, ხოლო პოსტპანდემიურ პერიოდში მესამედზე მეტით შემცირდა. საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აუცილებელი იყო მუსიკის ავტორების ჰონორარებთან დაკავშირებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად, პარლამენტმა მხოლოდ 2023 წელს მიიღო. მანამდე, კანონით გათვალისწინებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გარანტიებს, ფაქტობრივად, დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა.

ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ნიჭიერებისა და შემოქმედი ავტორების მოზიდვა, სადაც დახვდებათ უზრუნველყოფილი ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი გარანტიები და კრეატიულ პროდუქტებთან დაკავშირებული სათანადო ანაზღაურება.

საქართველოს მთავრობა ზრდის მეცნიერებისა და კულტურისთვის გათვალისწინებულ ხარჯებს. რაც რა თქმა უნდა, მისასალმებელია. თუმცა, ხარჯების ზრდის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ მოხდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მხარდაჭერა, მაგრამ რაც შეეხება აღნიშნული სფეროს განვითარებას, ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ინოვაციური და კულტურული პროდუქტი, რომელიც დაცულია ინტელექტუალური საკუთრებით, ეკონომიკურად ღირებული აქტივი გახდება და კიდევ უკეთესი იქნება, თუ ექსპორტირებად პროდუქტად იქცევა.

ინტელექტუალური საკუთრების სისტემის დაბალ ხარისხზე აშკარად მიუთითებს ისიც, რომ საქართველო შესულია იმ ქვეყნების სიაში, სადაც მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების მეკობრეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დაბალი მაჩვენებელი, საფრთხეს უქმნის საერთაშოროსო თანამშრომლობას. მანამ, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება ინტელექტუალური საკუთრების სათანადო დაცვა და კანონმდებლობის დაახლოვება ევროკავშირის დირექტივებთან, შეუძლებელი იქნება ერთობლივი წარმოების განხორციელება უცხოურ პარტნიორებთან და უცხოური კომპანიების, კინოს, რეკლამის და სხვა კონტენტის დამამზადებლების მოზიდვა.

საქართველოს კანონები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ურთიერთგამომრიცხავ ნორმებს შეიცავენ. მათი დებულებები, ძირითადად, ნასესხებია უცხოურ კანონმდებლობიდან ისე, რომ არ არის გათვალისწინებული ეროვნული თავისებურებანი. შედეგად, ისინი ვერ უზრუნველყოფენ შემოქმედი ადამიანების, ინვესტორების, კრეატიული მეწარმეებისა და ინოვატორების დაცვას.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შექმნის მიზნებიდან, საქართველო აღწევს მხოლოდ ერთს. ინტელექტუალური საკუთრების ასეთი სისტემა არასრულყოფილი, არამდგრადი და უსამართლოა - იგი ვერ წყვეტს შემოქმედი ადამიანების, ეროვნული კომპანიებისა და ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს.

კანონების ნორმათა განმარტება საკმაოდ ძვირია საქართველოში, ამ ნორმათა განმარტება შეუძლიათ მხოლოდ იმ იურისტებს, რომელთა მომსახურებაც ძალიან ძვირი ჯდება, და რომელთა რიცხვიც საქართველოში ძალიან მცირეა. ასეთი ხარჯების გაღება მხოლოდ საერთაშორისო კომპანიებს შეუძლიათ. ადგილობრივი კომპანიებისთვის კი ფინანსურად შეუძლებელია, რაც უსამართლობის განცდას იწვევს.

სამწუხაროდ ამის გამო საქართველოში, შემოქმედ ადამიანებს ინტელექტუალური საკუთრების საკითხების მიმართ ნდობა ნაკლებად აქვთ.

ინტელექტუალური საკუთრების ეფექტიანი სისტემის არსებობა გამოიწვევს კრეატიული ინდუსტრიის ისეთი დარგების განვითარებას, საგარეო ბაზარზე გასვლას და უცხოურ ინვესტიციებზე წვდომას, როგორებიცაა:

- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ვიდეოთამაშების ინდუსტრია, თუ მათი შემქმნელებისთვის გარანტირებული იქნება სამართლიანი ანაზღაურება და გლობალურ პლატფორმებზე მონაწილება, ხოლო ავტორებისათვის კი სამართლიანი ოდენობის ჰონორარის გადახდა;
- კინო და ანიმაციური ინდუსტრია, თუკი უზრუნველყოფილი იქნება შემოქმედებითი პროექტებისათვის განკუთვნილ ინვესტიციებსა და კრედიტებზე წვდომა, ინტერნეტ მეკობრებისაგან დაცვის სათანადო პირობები;
- მუსიკალური ინდუსტრია, თუკი გარანტირებული იქნება სამართლიანი ოდენობის ჰონორარის გადახდა სტრიმინგის, საჯარო შესრულების, საეთერო და ინტერნეტ გადაცემისათვის და ასევე მოხდება უფლებათა გლობალურ ბაზარზე გასვლა;
- ლიტერატურული ინდუსტრია, თუკი საერთაშორისო ბაზარზე მონაწილეების მასშტაბი გაფართოვდება, უზრუნველყოფილი იქნება უფლებათა ბრუნვა არა მხოლოდ კლასიკური და ელექტრონული წიგნის პროდუქციის შესაქმნელად, არამედ თეატრისა და კინოსთვის ლიცენზიის

გასაცემად, ასევე ვიდეოთამაშებისა და სხვა მულტიმედია პროდუქციისათვის;

- გასტრონომია და აგრო ინდუსტრია/სასოფლო სამეურნეო ინდუსტრია, თუკი უზრუნველყოფილი იქნება ბრენდების, ექსპორტისა და სხვა ქვეყნებში ფრანშიზების მიზანმიმართული განვითარება, რისი მეშვეობითაც მოხდება ინტელექტუალური საკუთრების მართვიდან გამომდინარე ეფექტიანობის ზრდა;
- არქიტექტურა, თუკი უპირატესობა მიენიჭება მათ, ვინც შენობებს აშენებს თვითმყოფადი ქართველი ავტორების პროექტების მიხედვით. ასევე, თუკი არქიტექტორთათვის გარანტირებული იქნება ასეთი შენობების ფოტოებისა და ნახატების ტურისტულ პროდუქციაზე გამოყენების სანაცვლო ანაზღაურება;
- მოდა და დიზაინი - ამ სფეროდან შესაძლებელია ანაზღაურების მიღება და თურქეთისა და ჩინეთის საწარმოო შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მომთხოვნი ევროპელი და ამერიკელი მომხმარებლების მოზიდვა.

ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარება უნივერსალური საშუალებაა ყველა იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც საერთოა კრეატიული ინდუსტრიის სხვადასხვა დარგებისთვის და უზრუნველყოფს:

- საგრანტო, საკრედიტო და საინვესტიციო დაფინანსებას;
- მცირე შიდა ბაზრიდან გამომდინარე შეზღუდვის დაძლევას; ახალ კლიენტებზე, პარტნიორებსა და ექსპორტზე გასვლას;
- შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტის სანაცვლო სამართლიან ანაზღაურებას.

გამოწვევები, რომლის წინაშეც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემა დგას, ნათელია.

1. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშეც ინტელექტუალური საკუთრების მთავარი ბენეფიციარები: ავტორები, მკვლევრები, კრეატიული და ინოვაციური ბიზნესის წარმომადგენლები დგანან, არის ინტელექტუალური უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი. ცნობიერების ამაღლება უნდა დაიწყოს სკოლებიდან და გაგრძელდეს უნივერსიტეტებში. საქართველოსთვის აუცილებელია, რომ ყველა იმ პირს, რომელიც დაკავშირებულია შემოქმედებით და კრეატიულ ეკონომიკასთან, მიეცეს სათანადო ცოდნა და განათლება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ.

2. ინტელექტუალური საკუთრების მართვის, მისი ნებაყოფლობითი და სავალდებულო რეგისტრაციის, ხარჯთაღრიცხვის, უფლებებზე გარიგებების დადებისა და ამ უფლებათა დაცვის მაღალი ხარჯები. ტრანზაქციების მაღალი ხარჯები არის მეორე გამოწვევა, რომლის

წინაშეც დგას საქართველო და რომელიც საჭიროებს სათანადო რეაგირებას.

3. ფულის, ინვესტიციების შემოდინება და არამატერიალური აქტივების მქონე კომპანიების განსაკუთრებული მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, აგრეთვე, ასეთ კომპანიებზე ბანკებისა და კერძო ინვესტორების ფოკუსირება - საზოგადოების მესამე გამოწვევაა.

ამ გამოწვევებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას მხოლოდ და მხოლოდ ტექნოლოგიები იძლევა.

საჭიროა ბიზნესისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის საერთო ციფრული ინფრასტრუქტურის დანერგვა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი ობიექტის რეგისტრაცია მარტივად და ნაკლები დანახარჯებით. ამავე ტექნოლოგიით შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა, თუ ვის ეკუთვნის ინტელექტუალური საკუთრება ამა თუ იმ ობიექტზე. ბლოკჩეინ ტექნოლოგია საუკეთესო საშუალებაა, როგორც ავტორთა ინტერესების დასაცავად ისე, კრეატიული და ინოვაციური კომპანიებისათვის „ციფრული“ არამატერიალური აქტივების შესაქმნელად.

ბლოკჩეინის მეშვეობით, კიდევ ერთი პრობლემა გადაიჭრება, შესაძლებელი გახდება სმარტ-კონტრაქტების დადება, რომელიც არ საჭიროებს არც ქაღალდს, არც იურისტებს და არც სპეციალურ ცოდნას. გარიგებებისა და მონეტიზაციის თანამედროვე ციფრული პლატფორმები არ მოითხოვენ შემოქმედი ადამიანების, ბიზნესმენებისა და ინვესტორებისათვის განსაკუთრებული ცოდნის მიცემას, საკმარისია მათი ცნობიერების ამაღლება. ეს უფრო მასშტაბური, სწრაფი და მარტივი გზაა.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების თანამედროვე ციფრული საცავისთვის, სამრეწველო პროდუქციასა და ინტერნეტ ქსელში დარღვეული უფლებების გამოსავლენად, კიდევ ერთი ტექნოლოგიური ნაბიჯია. საქართველოს შემოსავლების სამსახურსა და საჯარო სამართლის სხვა იურიდიულ პირებს, შეუძლიათ აკონტროლონ სამრეწველო პროდუქციის იმპორტისა და რეალიზაციისას არსებული დარღვევები. უფლების მფლობელებს შეუძლიათ გამოავლინონ მეკობრული კონტენტი და წინ აღუდგნენ მეკობრულ საიტებს. სასამართლოებს შეეძლებათ იქონიონ წვდომა ციფრულ მტკიცებულებებზე, რათა სწრაფად და სამართლიანად გადაწყვიტონ განსახილველი დავები.

ბლოკჩეინ რეესტრში დარეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრება, კომპანიის გამჭვირვალე და მარტივად აღქმადი აქტივია. ასეთი აქტივი, კრეატიულ და ინოვაციურ კომპანიას მიმზიდველს ხდის ინვესტორებისათვის. ინტელექტუალური საკუთრება, რომელსაც მოაქვს შემოსავალი, ბანკებისათვის ხარისხიანი და ლიკვიდური გირავნობის საგანია.

ინტელექტუალური საკუთრების მართვისა და რეგისტრაციის ტექნოლოგიის მასშტაბური დანერგვის ეტაპს, წინ უნდა უსწრებდეს არსებული კანონმდებლობის კოდიფიცირება. მოქმედი კანონები უნდა გამარტივდეს, გახდეს უნივერსალური და ერთიანმა დოკუმენტმა მოიცვას ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება. კანონი და ყველა ნორმა მიმართული უნდა იყოს უფლებათა ციფრული განხორციელების, ბენეფიციარებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მინიმალური ხარჯებისაკენ.

ერთიანი კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ინტელექტუალური უფლებები, მხოლოდ განსაკუთრებულ უფლებებამდე არ შეიძლება იქნას დაყვანილი. მნიშვნელოვანია ავტორთა და შემოქმედთა, როგორც გარიგების სუსტი მხარის დაცვა. საჭიროა შემოქმედი ადამიანებისათვის სამართლიანი ანაზღაურების გარანტიების დაწესება, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც კრეატიულმა პროდუქტმა მნიშვნელოვანი შემოსავალი მოიტანა. უფლებათა კოლექტიური მართვის თანამედროვე სისტემამ და ციფრული აღრიცხვის ცენტრმა უნდა უზრუნველყოს პროპორციული წამახალისებელი ანაზღაურების გადახდა ნაწარმოებებისა და ტექნიკური გადაწყვეტის გამოყენების ნებისმიერი საშუალებისა და სახეობისათვის.

თანხვედრაში უნდა მოვიდეს:

- კანონი და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური გადაწყვეტა;
- ავტორები, შემოქმედი ადამიანები და მთავრობა;
- შემოქმედებითი პოტენციალი, გაფორმებული, როგორც ინტელექტუალური საკუთრება და ფული.

ინტელექტუალური საკუთრების რეფორმის პრინციპები საქართველოში ნათელი და მარტივია.

- კანონი უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ განსაკუთრებულ უფლებებს, არამედ სამართლიანობის პრინციპს - უფლებათა კოლექტიური ციფრული მართვის გზით ანაზღაურების გარანტიებს მხატვრული და ტექნიკური შემოქმედების სფეროში.
- განსაკუთებული უფლებები მაქსიმალურად უნდა დაიცვან საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა - საბაჟო და სასამართლო ორგანოებმა, ასევე მსხვილმა კომპანიებმა, კავშირგაბმულობის ოპერატორებმა და ციფრულმა პლატფორმებმა, სავაჭრო ქსელებმა და აუქციონის სახლებმა.
- ინტელექტუალური საკუთრების აქტივების ზრდისათვის საჭიროა სახელმწიფო და კერძო ძალისხმევის გაერთიანება: სახელმწიფოსგან აუცილებელია ახალი კანონის მიღება, ხოლო ბიზნეს სექტორისგან კანონის ნორმათა განხორციელების ტექნოლოგიების დანერგვა, როგორიცაა, ბლოკჩეინი, სმარტ-კონტრაქტები, ხელოვნური ინტელექტი.

- ინვესტიციები კრეატიულ, ინოვაციურ კომპანიებში, რომლებიც აქტივის სახით ფლობენ ინტელექტუალურ საკუთრებას, პრიორიტეტად უნდა იქცეს ბანკებისა და კერძო ინვესტორებისათვის. მთავრობა ვალდებულია ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ქართულ კომპანიებს ევროპისა და აშშ-ს ბაზარზე გასვლაში.

ეს პრინციპები ემთხვევა და შესაბამისობაშია ევროპულ და ამერიკულ ღირებულებებთან. თუმცა, მათში ასევე გათვალისწინებულია ის, რომ საქართველო პატარა, არც ისე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, თუმცა, გააჩნია მდიდარი მემკვიდრეობა და მისი მოსახლეობა მრავალი ნიჭიერი ადამიანისგან შედგება.

ნაბიჯები მარტივია, სწრაფად განხორციელებადი და მოვუწოდებთ:

- სახელმწიფოს, ბიზნეს სექტორთან, კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, ექსპლუატაციაში ჩაუშვას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ნებაყოფლობითი და სავალდებულო რეგისტრაციის ბლოკჩეინ-ქსელი.

- სამეცნიერო, საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, კრეატიულ და ინოვაციურ კომპანიებს დაარეგისტრირონ, აღრიცხონ და დააკანონონ მათ მფლობელობაში არსებული ინტელექტუალური საკუთრება.

- ბანკებსა და კერძო ინვესტორებს, სათანადო ყურადღება მიაქციონ არამატერიალური აქტივების მქონე კომპანიებს, შექმნან მათი დაფინანსების ხელმისაწვდომობისათვის საჭირო სპეციალური პირობები და პროგრამები. ასეთ კომპანიებში ინვესტიციის განხორციელება ნიშნავს კრეატიულ მომავალში კაპიტალდაბანდებას და მაღალი ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

- საქართველოს პარლამენტს, კრეატიულ, შემოქმედებით საზოგადოებასთან ერთად, გადახედოს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობას და მოახდინოს მათი კოდიფიცირება, რათა ინტელექტუალური საკუთრება საბოლოოდ იქცეს სრულყოფილ არამატერიალურ აქტივად, ხოლო მათ ავტორებს, მუსიკოსებსა და მწერლებს, მხატვრებსა და დიზაინერებს, არქიტექტორებსა და მკვლევრებს მიეცეთ წამახალისებელი ანაზღაურების სანდო გარანტიები, საკუთარი შემოქმედების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისათვის.

- საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებს, მოახდინონ ძალისხმევის კონცენტრირება, რათა მოხერხდეს მოსწავლეების, სტუდენტებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირის ცნობიერების

ამაღლება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ცვლილებათა განხორციელების სიჩქარე მაღალი უნდა იყოს, საქართველოს მთავრობამ ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს და მყისიერად გადადგას საჭირო ნაბიჯები.

შემოქმედი ადამიანების, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, ინვესტორების ნდობა, ხარჯების მკვეთრ შემცირებასთან ერთად, შეცვლის ინტელექტუალური საკუთრების სისტემას საქართველოში.

ინტელექტუალური საკუთრება უნდა ემსახურებოდეს ავტორებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევას.

შედეგი შთამბეჭდავი იქნება. გაჩნდება ახალი ინვესტიციები, ახალი სამუშაო ადგილები და გაიზრდება შემოსავლები. კულტურა, მეცნიერება და შემოქმედი ადამიანები - ახალი შესაძლებლობაა სხვა ქვეყნებთან მომგებიანი კოოპერაციისათვის და სამართლიანი ანაზღაურების არსებობისათვის. ბიზნესი კი არის ინვესტიციების ზრდისა და მოზიდვის შესაძლებლობა, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ მსოფლიო ბაზრებზე, დისკრიმინაციის გარეშე, სრულყოფილი მონაწილეობისათვის.

დარწმუნებულები ვართ, რომ ინტელექტუალური საკუთრებისადმი ახლებური მიდგომა, საქართველოში აღძრავს ინტერესს, რომ მოხდეს ინოვაციების, შემოქმედებისა და თავისუფალი მეწარმეობის სამართლიანი ინტეგრაცია ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე. ასევე, გამოიწვევს სხვა სახელმწიფოების დაინტერესებას.

ინტელექტუალური საკუთრების თანამედროვე სისტემამ საქართველოს უნდა მისცეს შესაძლებლობა შეიძინოს თურქეთისა და ჩინეთის მსგავსი საწარმოო სიმძლავრე, და აშშ-ს ტექნოლოგიური წარმოებისა და ევროპელების დახვეწილი გემოვნების საყრდენად იქცეს.